სსიპ გორის
მუნიციპალიტეტის სოფელ
ქვახვრელის საჯარო
სკოლა

KVAKHVRELI
VILLAGE PUBLIC
SCHOOL LEPL GORI
MUNICIPALI

10/12/2025

MES 6 25 0001762558

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების მიზნით გიგზავნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების"თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის 2015 წლის 17 აპრილის №2-16 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლის დირექტორი მზია ოხანაშვილი.

ა) 2025 წლის წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე განცხადება არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

გ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

დ) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ე) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

პატივისცემით,

სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ
ქვახვრელის საჯარო სკოლის დირექტორი: (მ.ოხანაშვილი)

შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის
საჯარო სკოლა
დირექტორი
ოხანაშვილი მზია